2025 წლის 14 აპრილს შპს „პაბინვესტის” (ს/კ 404582652, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120207) მიმართ გამოყენებული ჯარიმის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხის განახლება: 15 მაისი 2025

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2025 წლის 14 აპრილს „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 აპრილის №99/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „პაბინვესტის” (ს/კ 404582652, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120207) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა) სესხის გამცემ სუბიექტ შპს „პაბინვესტს“ დაეკისრა ფულადი ჯარიმა.

ზემოაღნიშნული ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2025 წლის 07 მაისს სესხის გამცემი სუბიექტი შპს „პაბინვესტის“ მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.